




შპს „როხი კომპანი“

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. საღანძილეს
ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის)
გადამამუშავებელი საამქროს ექსპლუატაცია

სკრინინგის ანგარიში

შემსრულებელი

შპს „გამა კონსალტინგი“

დირექტორი  ზ. მაგალობლიშვილი

2025 წელი

სარჩევი

1	შესავალი.....	3
2	დაგეგმილი საქმიანობის მოკლე აღწერა	3
2.1.	სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქრო.....	7
2.2.	ბეტონის კვანძი.....	8
2.3.	სამშენებლო სამუშაოები.....	9
2.4.	საწარმოს მუშაობის რეჟიმი და პერსონალი	9
2.5.	წყალმომარაგება და ჩამდინარე წყლების მართვა	9
3	ინფორმაცია საქმიანობის განსახორციელებელი ადგილის შესახებ - გარემოს ფონური მდგომარეობა და ზემოქმედების რისკები	11
3.1.	ზემოქმედება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე.....	13
3.1.1.	ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში ...	14
3.1.2.	ემისიის გაანგარიშება ინერტული მასალის საწყობი (გ-1).....	14
3.1.3.	ემისიის გაანგარიშება სამსხვრევი კომპლექსიდან (გ-2).....	17
3.1.4.	ემისიის გაანგარიშება ლენტური კონვერით ღორღის დაყრისას სამსხვრევთან (გ-3)	21
3.1.5.	ემისიის გაანგარიშება ლენტური კონვერით ღორღის დაყრისას სამსხვრევთან (გ-4)	23
3.1.6.	ემისიის გაანგარიშება ღორღის საწყობიდან (გ-5).....	24
3.1.7.	ემისიის გაანგარიშება ბეტონის კვანძის სილოსიდან (გ-6).....	27
3.1.8.	ემისიის გაანგარიშება ბეტონის კვანძის მიმღები ბუნკერიდან (გ-7)	27
3.1.9.	ემისიის გაანგარიშება ბეტონის კვანძის ლენტური ტრანსპორტიორიდან (გ-8)	28
3.1.10.	ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიში	29
3.1.11.	ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა კომპიუტერული გაბნევის გრაფიკული ნაწილი	31
3.1.12.	მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის მიღებული შედეგები და ანალიზი	33
3.1.13.	დასკვნა.....	33
3.2.	ზემოქმედება აკუსტიკურ ფონზე	33
3.3.	ზემოქმედება წყლის გარემოზე	35
3.4.	ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე	37
3.5.	ზემოქმედება გრუნტის ხარისხზე	37
3.6.	ნარჩენების მართვის მოსალოდნელი ზემოქმედება	37
3.7.	ზემოქმედება ადამიანების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე	38
3.8.	ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადზე	39
3.9.	კუმულაციური ზემოქმედება	40
4.	გარემოზე შესაძლო ზემოქმედებების შეფასება	41
5.	მოკლე რეზიუმე	46
6.	გამოყენებული ლიტერატურა	47
7.	დანართები	48
7.1.	დანართი N1 - ატმოსფეროში მავნე ნივთიერებათა გაბნევის პროგრამული ამონაბეჭდი	48
7.2.	დანართი N2 - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საიჯარო ხელშეკრულების ასლი.....	54

1 შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს, შპს „როხი კომპანი“-ს მიერ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. საღანძილეს მიმდებარე ტერიტორიაზე დაგეგმილი სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის ანგარიშს.

შპს „როხი კომპანი“ სახელმწიფოსაგან იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე აღებულ, 2746 მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, რომლის საკადასტრო კოდია 36.14.33.005, გეგმავს სასარგებლო წიაღისეულის სველი მეთოდით დამუშავების (მსხვრევა დახარისხება) საწარმოს მოწყობას და ექსპლუატაციას, რომლის წარმადობა შეადგენს 30 მ³/სთ-ს, ტერიტორიაზე ასევე მოეწყობა 45 მ³/სთ წარმადობის ბეტონის კვანძი. საიჯარო ხელშეკრულების ასლი მოცემულია დანართში N2.

აღნიშნულ საწარმოში ინერტული მასალების დამუშავება ხორციელდება სველი მეთოდით და იწარმოება სხვადასხვა ფრაქციის ქვიშა-ღორღი. სამსხვრევზე დამსხვრეული ქვიშა-ღორღი გამოყენებული იქნება ბეტონის კვანძისთვის.

30 მ³/სთ წარმადობის სამსხვრევ-დამხარისხებელი ქარხნის ექსპლუატაციისათვის საჭირო წყლით მომარაგება გათვალისწინებულია მდ. ჩხერიმელადან და გაწმენდის შემდეგ წყალი ჩაშვებული იქნება ამავე მდინარეში.

დაგეგმილი საქმიანობა, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს, მეორე დანართის, მე-5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტის თანახმად წარმოადგენს სკრინინგის პროცედურას დაქვემდებარებულ საქმიანობას.

საქმიანობას ახორციელებს შპს „როხი კომპანი“, ხოლო წინამდებარე სკრინინგის ანგარიში მომზადებულია შპს „გამა კონსალტინგი“-ს მიერ. საქმიანობის განმახორციელებელი და საკონსულტაციო კომპანიების შესახებ, ინფორმაცია მოცემულია ცხრილში 1.1.

ცხრილი 1.1 საკონტაქტო ინფორმაცია

საქმიანობის განმახორციელებელი კომპანია	შპს „როხი კომპანი“
კომპანიის იურიდიული მისამართი	ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ს. დიღომი, ასმათის ქ. N 42
კომპანიის ფაქტიური მისამართი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფ. საღანძილე
საქმიანობის განხორციელების ადგილის მისამართი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფ. საღანძილე
საქმიანობის სახე	სასარგებლო წიაღისეულის წარმოება
შპს „როხი კომპანი“ -ს მონაცემები:	
საიდენტიფიკაციო კოდი	405758005
ელექტრონული ფოსტა	talaxadzeg@gmail.com
საკონტაქტო პირი	გიორგი ტალახაძე
საკონტაქტო ტელეფონი	551354535
საკონსულტაციო კომპანია:	
შპს „გამა კონსალტინგი“-ს დირექტორი	ზ. მგალობლიშვილი
საკონტაქტო პირი	ჯუღული ახვლედიანი
საკონტაქტო ტელეფონი	(+995) 595 595255

2 დაგეგმილი საქმიანობის მოკლე აღწერა

როგორც უკვე აღინიშნა, საქმიანობა დაგეგმილია ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. საღანძილეს მიმდებარე ტერიტორიაზე, 2746 მ² ფართობის არასასოფლო-სამეურნეო

დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 36.14.33.005), რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას (მუნიციპალური საკუთრება). შპს „როხი კომპანი“ აღნიშნული მიწის ნაკვეთით სარგებლობს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე 3 წლის ვადით (იხ. დანართი 2).

საწარმოს განთავსებისთვის შერჩეული ადგილი წარმოდგენილია მდ. ჩხერიმელას მარცხენა სანაპიროს პირველ ტერასაზე. საპროექტო ტერიტორია სწორი ზედაპირისაა და ოდნავ დახრილია მდინარის მიმართულებით. მდინარიდან დაცილების მანძილი შეადგენს დაახლოებით 65 მეტრს.

საპროექტო მიწის ნაკვეთიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს ჩრდილო-აღმოსავლეთით 240 მეტრის მანძილზე, ნაკვეთის დასავლეთით დაახლოებით 15 მეტრის დაშორებით გადის ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის საავტომობილო გზა, ხოლო აღმოსავლეთით 125 მეტრის დაშორებით წარმოდგენილია სარკინიგზო ხაზი. უახლოესი სატყეო უბანი (ხარაგაული-ზვარე) საპროექტო ტერიტორიიდან დასავლეთით დაშორებულია 82 მეტრის მანძილზე.

საპროექტო ტერიტორია გამოირჩევა მაღალი ანთროპოგენური დატვირთვის, კერძოდ: ფუნქციონირებდა სამშენებლო მასალების მწარმოებელი ობიექტები (სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმო და ბეტონის კვანძი), რომლების დღეისათვის აღარ ფუნქციონირებს და დანადგარ მოწყობილობა გატანილია ტერიტორიიდან. წლების განმავლობაში მიმდინარე საწარმოო საქმიანობის ზემოქმედების გამო ტერიტორიაზე არ არსებობს ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და მცენარეული საფარი. გამომდინარე აღნიშნულიდან საამქროს მოწყობის პროცესში, ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და მცენარეულ საფარზე ნეგატიური ზემოქმედებ მოსალოდნელი არ არის.

საპროექტო ტერიტორიის სიტუაციური სქემა მოცემულია სურათზე 2.1.

დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს ინერტული მასალის სველი მეთოდით სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმოს მოწყობას და ექსპლუატაციას, რომლის წარმადობაა 30 მ³/სთ. სამუშაო დრო წელიწადში შეადგენს 2000 საათს, შესაბამისად წლიური წარმადობა იქნება: 30 მ³/სთ × 2000 სთ/წელ = 60000 მ³/წელ, რაც მასაში იქნება ≈ 96 000 ტ/წელ.

გარდა ამისა, ტერიტორიაზე გათვალისწინებულია ბეტონის კვანძის მოწყობა, რომლის წარმადობა შეადგენს 45 მ³/სთ. სამუშაო დრო წელიწადში შეადგენს 1000 საათს, შესაბამისად წლიური წარმადობა იქნება: 45 მ³/სთ × 1000 სთ/წელ = 45 000 მ³/წელ (≈ 72 000 ტ). სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმოს მიერ წარმოებული ინერტული მასალები გამოყენებული იქნება ბეტონის კვანძისთვის ფუნქციონირებისათვის.


პროექტის მიხედვით, დასამუშავებელი ინერტული მასალის შემოტანა მოხდება შესაბამისი ლიცენზიების მქონე სხვა იურიდიული პირების ლიცენზირებული კარიერებიდან (მათ შორის: შპს „კაბლო 25“; შპს „MTF-GEORGIA“ და სხვა). კარიერიდან საწარმოს ტერიტორიაზე ინერტული მასალების ტრანსპორტირება მოხდება თვითმცლელი ავტომანქანების გამოყენებით.

საპროექტო ტერიტორიაზე წარმოდგენილი იქნება სამსხვრევ დამხარისხებელი საამქროს მოწყობის ადგილი, დასამუშავებელი ინერტული მასალების სანაყარო, ბეტონის კვანძის განთავსების ადგილი, მზა პროდუქციის ღორღის განთავსების ადგილი, მზა პროდუქციის სანაყარო და ჩამდინარე წყლების სალექარი. საწარმოს გეგმა მოცემულია ნახაზზე 2.1.

როგორც აღინიშნა, საამქრო იმუშავებს სველი მეთოდით. სამსხვრევ დამხარისხებელი ქარხნის ფუნქციონირებისას საჭირო წყლით მომარაგება მოხდება მდ. ჩხერიმელადან, საიდანაც წყლის მიყვანა მოხდება ღია არხით. წყალადების წერტილის მიახლოებითი გეოგრაფიული კოორდინატებია: X-355045; Y-4650210. საამქროს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი საწარმოო ჩამდინარე წყლის, ისევე როგორც საწარმოო ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების გაწმენდა მოხდება სამ სექციიანი 1200 მ³ მოცულობის სალექარის საშუალებით (თითოეული სექციის პარამეტრებია: სიგრძე 10 მ. სიგანე 8 მ. სიმაღლე 5 მ.), გაწმენდილი წყალი

ჩაშვებული იქნება მდ. ჩხერიმელაში. წყალჩაშვების წერტილის GPS კოორდინატებია - X-355025; Y-4650271.

ნახაზი 2.1 საწარმოს გეგმა



სურათი 2.1 სიტუაციური სქემა



2.1. სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქრო

როგორც უკვე აღინიშნა სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქროში ინერტული მასალების მსხვრევა მოხდება სველი მეთოდით. ინერტული მასალის სამსხვრევ დამხარისხებელი ქარხნის წარმადობა შეადგენს 30 მ³/სთ. სამუშაო დრო განსაზღვრულია წელიწადში 2000 საათი, შესაბამისად, წლიური წარმადობა იქნება: $30 \text{ მ}^3/\text{სთ} \times 2000 \text{ სთ/წელ} = 60000 \text{ მ}^3/\text{წელ}$ გადამუშავებული ინერტული მასალა. 60000 მ³/წელ მასალა მასაში იქნება $\approx 96\,000 \text{ ტ/წელ}$.

საწარმოს ტექნოლოგიური ციკლი შედგება შემდეგ დანადგარ-მოწყობილობებისგან:

- მიმღები/მკვებავი ბუნკერი;
- საცერი N1 და N2 (სარეცხი);
- ქვიშა ღარი;
- ქვიშის სარეცხი კლასიფიკატორი;
- ყბებიანი სამსხვრევი;
- ლენტური ტრანსპორტიორი N1, N2, N3 და N4;
- შნეკური ტრანსპორტიორი;
- როტორული სამტვრევი;
- წყლის სალექარი.

ინერტული მასალა ავტოდამტვირთველის საშუალებით მიეწოდება ნედლეულის მიმღებ ბუნკერს და მკვებავის საშუალებით იყრება N1 საცერზე. N1 საცერზე ესხმება წყალი, ირეცხება ინერტული მასალა და ქვიშა ღარით ჩაედინება ქვიშის სარეცხ კლასიფიკატორში, ხოლო მსხვილი ფრაქცია იყრება ყბებიან სამსხვრევში. ყბებიანი სამსხვრევიდან N1 ლენტური ტრანსპორტიორით მასალა გადაიტვირთება როტორულ სამსხვრევზე და N2 ლენტური ტრანსპორტიორით N2 საცერზე. N2 საცერზეც ხორციელდება მასალის წყლით რეცხვა და ქვიშა ასევე ღარის საშუალებით ჩაედინება ქვიშის სარეცხ კლასიფიკატორში. N3 და N4 ლენტური ტრანსპორტიორების საშუალებით მზა პროდუქცია ღორღის ფრაქციები 5-10 და 10-20 მმ საწყობდება დროებით სამსხვრევთან.

სამსხვრევ დამხარისხებელი ქარხნის ტექნოლოგიური სქემა მოცემულია ნახაზზე 2.1.1.


მოთხოვნის შესაბამისად, შესაძლებელია N2 საცერთან 0-40 მმ ფრაქციის წარმოება. ქვიშის სარეცხი კლასიფიკატორიდან შნეკური ტრანსპორტიორით ხორციელდება ქვიშის ამოღება და დროებით დასაწყობება სამსხვრევთან ფრაქცია 0-0,5 მმ.

სამსხვრევზე წარმოებული ქვიშა-ღორღის ფრაქციები და წარმადობები მოცემულია ცხრილში 2.1.1.

ცხრილი 2.1.1 ქვიშა-ღორღის ფრაქციები და წლიური წარმადობები

ინერტული მასალა ტ/წელ	პროდუქტი	ფრაქცია მმ.	წარმადობა ტ/წელ
96000	ქვიშა	0-5	38400
	ღორღი	5-10	28800
	ღორღი	10-20	28800

ნახაზი 2.1.1. ინერტული მასალის სამსხვრევ დამხარისხებელი ქარხნის ტექნოლოგიური სქემა



2.2. ბეტონის კვანძი

როგორც ზემოთ აღინიშნა, ბეტონის კვანძის წარმადობა შეადგენს 45 მ³/სთ. სამუშაო საათების რაოდენობა წელიწადში 1000 სთ, შესაბამისად წლიური წარმადობა 45 000 მ³/წელ.

სამსხვრევზე დამსხვრეული ქვიშა-ღორღი გამოყენებული იქნება ბეტონის კვანძისთვის.

ბეტონის საწარმოო საამქროში გათვალისწინებულია ბეტონის ხსნარის წარმოება. ბეტონის კვანძი წარმოადგენს ასაწყობ სტაციონარულ ნაგებობას, რომლის კომპლექსში შედის ინერტული მასალის მიმღები დოზატორული ბუნკერი, ინერტული მასალის ლენტური კონვეიერი, ბეტონშემრევი და ცემენტის სილოსი საიდანაც ცემენტი შემრევს მიეწოდება ჰიახრახნული ელევატორის საშუალებით.

ინერტული მასალები ავტოდამტვირთველის საშუალებით იყრება დოზატორულ ბუნკერებში. დოზატორი აღჭურვილია ზუსტი დოზირებისა და მიწოდების სისტემით, რაც უზრუნველყოფს ბეტონის მასის ავტომატურ კორექტირებას. დოზატორული ბუნკერებიდან ინერტული მასალა იყრება ლენტურ ტრანსპორტიორზე და ლენტური ტრანსპორტიორიდან ბუნკერში. ბუნკერიდან ინერტული მასალა ჩაიყრება დახურულ ბეტონშემრევში.

სილოსში ცემენტი იტვირთება ცემენტშიდიდან. ცემენტის სილოსისთვის გათვალისწინებულია სველი მეთოდით გამწმენდის მოწყობა. სილოსთან მოეწყობა წყლის ავზი, (სიგრძე 4.35 მ, დიამეტრი 1.4 მ) სადაც ჩაშვებული იქნება სილოსიდან გამომავალი აირმტვერნარევის მილი. ცემენტშიდიდან ცემენტის ჩატვირთვისას სილოსიდან გამოყოფილი აირმტვერნარევი გაივლის წყლის ავზს და გაწმენდილი ჰაერი გაიფრქვევა ატმოსფერულ ჰაერში. აირგამწმენდ ავზში არსებული წყალი გამოყენებული იქნება ბეტონის წარმოებაში

ბეტონის კვანძის მართვის სისტემა ავტომატურია. გააჩნია თანამედროვე კომპიუტერული კონტროლერი, რაც უზრუნველყოფს ავტომატურ მართვას ბეტონის მომზადების პროცესში.

2.3. სამშენებლო სამუშაოები

პროექტით დაგეგმილი სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმო და ბეტონის კვანძი წარმოადგენს გადასატანი ტიპის დანადგარებს, შესაბამისად მათი მოწყობა დიდი მოცულობის სამშენებლო სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებული არ არის. საჭირო იქნება დანადგარ მოწყობილობის განთავსებისათვის საჭირო საძირკვლების მოწყობა და შემდეგ სამონტაჟო სამუშაოების შესრულება.

გამომდინარე აღნიშნულიდან, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისათვის ტიპიური სამშენებლო ინფრასტრუქტურის მოწყობა დაგეგმილი არ არის. სამშენებლო მასალების და საწარმოს დანადგარების დასაწყობებისთვის გამოყენებულია საწარმოს განთავსების ტერიტორია. საწარმოს ინფრასტრუქტურის დამონტაჟება მოხდება შპს „როხი კომპანი“-ს პერსონალის მიერ.

საპროექტო ტერიტორიაზე არ არსებობს მცენარეული საფარი და ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და შესაბამისად საწარმოს ინფრასტრუქტურის სამონტაჟო სამუშაოებით, მათ შორის საწარმოო ჩამდინარე წყლების სალექარისა და საასენიზაციო ორმოს მოწყობით ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების რისკი შეიძლება შეფასდეს როგორც მინიმალური.

2.4. საწარმოს მუშაობის რეჟიმი და პერსონალი

საწარმოს მოწყობის პროცესში დასაქმებული იქნება 5-6 ადამიანი და მოწყობის სამუშაოები შესრულებული იქნება 1.0-1.5 თვის განმავლობაში.

საწარმო იმუშავებს წელიწადში 250 დღე (ინერტული მასალების სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმო და ბეტონის კვანძი იმუშავებს), ერთცვლიანი სამუშაო რეჟიმით. ცვლის ხანგრძლივობა 8 სთ. დასაქმებულთა მაქსიმალური რაოდენობა იქნება 15 ადამიანი. საწარმოში დასაქმებულ იქნება ადგილობრივი მოსახლეობა.

2.5. წყალმომარაგება და ჩამდინარე წყლების მართვა

საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში წყალი გამოყენებული იქნება როგორც სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით ისე ტექნიკური დანიშნულებით. სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული იქნება შემოტანილი ბუტილირებული წყალი, ხოლო საწარმოო დანიშნულებით მდ. ჩხერიმელას წყალი.

საწარმოს ტექნოლოგიური ციკლიდან და საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ საწვავის სამარაგო რეზერვუარების განთავსებას საწარმოს ტერიტორიაზე ადგილი არ ექნება.

თუ გავითვალისწინებთ, რომ საწარმოში დასაქმებული პერსონალის მაქსიმალური რაოდენობა იქნება 15 ადამიანი, ხოლო წელიწადში სამუშაო დღეების რაოდენობა 250 დღე, გამოყენებული სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლის მაქსიმალური რაოდენობა შეადგენს:

$$15 \times 45 = 675 \text{ ლ/დღე ანუ } 0.675 \text{ მ}^3/\text{დღე და}$$

$$250 \times 675 = 168\,750 \text{ ლ/წელ ანუ } 168.750 \text{ მ}^3/\text{წელ}$$

სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების შეგროვება მოხდება ჰერმეტიკული საასენიზაციო ორმოს საშუალებით, რომლის განტვირთვა მოხდება შესაბამის სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლის რაოდენობა იანგარიშება გამოყენებულ წყლის 5%-იანი დანაკარგის გათვალისწინებით, აქედან გამომდინარე შეგროვებული სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყლის რაოდენობა 1 დღეში იქნება 0.641 მ³/დღე, ხოლო წელიწადში 160.3 მ³/წელ.

პროექტის მიხედვით, სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქროში ინერტული მასალების დამუშავება მოხდება სველი მეთოდით. ბეტონის კვანძის კომპლექსში შედის ცემენტის სილოსი, რისთვისაც გათვალისწინებულია სველი მეთოდით გამწმენდის მოწყობა. სილოსთან მოეწყობა წყლის ავზი, სადაც ჩაშვებული იქნება სილოსიდან გამომავალი მილი. ცემენტშიდიდან ცემენტის სილოსში ჩატვირთვისას აირმტვერნარევი გაივლის წყლის ავზს და გაიფრქვევა ატმოსფერულ ჰაერში. ავზში არსებული წყალი გამოყენებული იქნება ბეტონის კვანძის მოსამარაგებლად. ვინაიდან, დაგეგმილი ტექნოლოგიური პროცესები საჭიროებს წყლის გამოყენებას, აღნიშნული სამუშაოებისთვის წყალაღება მოხდება მდ. ჩხერიმელადან. წყალაღების წერტილის მიახლოებითი გეოგრაფიული კოორდინატებია X-355045; Y-4650210, საიდანაც ტერიტორიაზე წყლის მიყვანა ხდება ღია არხით.

ინერტული მასალების სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმოს ტექნოლოგიური ციკლის მიხედვით 1 მ³ კვიშა-ხრემის დამუშავებისთვის საჭიროა საშუალოდ 1.5 მ³ წყალი. საწარმო იმუშავებს 8 საათიანი სამუშაო გრაფიკით 250 დღე, შესაბამისად 1 საათში საჭირო წყლის რაოდენობა 30 მ³ წარმადობის სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქროსთვის იქნება 45 მ³/სთ, დღეში 360 მ³/დღე, ხოლო წელიწადში 90 000 მ³/წელ.

ვინაიდან, ბეტონის კვანძისთვის სამუშაო საათები განსაზღვრულია წელიწადში 1000 სთ-ის განმავლობაში, წყლის მაქსიმალური ხარჯი შეადგენს 0.13 ტ. × 45 მ³/სთ × 1000 სთ/წელ = 5850 ტ/წელ. ბეტონის კვანძის საათური ხარჯი შეადგენს 5.85 მ³/სთ-ს. ბეტონის ხსნარის წარმოებისათვის საჭირო წყალი თავდაპირველად მიეწოდება სილოსიდან გაფრქვეული აირმტვერნარევის გაწმენდისათვის გათვალისწინებულ 6.09 მ³ ტევადობის რეზერვუარში, საიდანაც საჭიროების მიხედვით გადაიტუმბება ბეტონშემრევში. შესაბამისად აირგამწმენდი რეზერვუარისათვის დამატებით წყლის გამოყენებას ადგილი არ აქვს.

განგარიშების მიხედვით, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე გამოყენებული ტექნიკური წყლის რაოდენობა 1 საათში იქნება 50.85 მ³/სთ, ხოლო წელიწადში 95 850 მ³/წელ.

აღსანიშნავია, რომ ბეტონის წარმოებაში გამოყენებული წყალი სრულად მოიხმარება პროდუქციის წარმოებაში და საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნას ადგილი არ აქვს და ჩამდინარე წყლების წარმოიქმნება კვიშა-ხრემის დამუშავების პროცესში.

სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ჩამდინარე წყლის რაოდენობა იანგარიშება გამოყენებულ წყლის 20%-იანი დანაკარგის გათვალისწინებით (20%-იან დანაკარგს ადგილი აქვს ინერტული მასალის დასველებასთან და აორთქლებასთან

დაკავშირებით). შესაბამისად წარმოქმნილი ჩამდინარე წყლის რაოდენობა იქნება: 36.0 მ³/სთ, 288 მ³/დღ და 72 000მ³/წელ.

საწარმოს ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების დაბინძურების რისკი არსებობს საწარმოო ინფრასტრუქტურის განთავსების ტერიტორიაზე, რომლის ფართობი შეადგენს 2 746 მ²-ს. ტერიტორიაზე მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესების გათვალისწინებით სანიაღვრე წყლების დაბინძურება მოსალოდნელია შეწონილი ნაწილაკებით. ქვემოთ მოცემულია საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების რაოდენობის გაანგარიშება.

სანიაღვრე წყლების რაოდენობის გაანგარიშება ხდება ფორმულით:

$$Q=10 \times F \times H \times K$$

სადაც:

- Q არის სანიაღვრე წყლების მოცულობა მ³/დღ;
- F - ტერიტორიის ის ფართობი, სადაც მოხდება სანიაღვრე წყლების წარმოქმნა (ჰექტარში)- შეადგენს 0.2746 ჰა-ს.
- H - ნალექების რაოდენობა და მიღებულია სამშენებლო ნორმების და წესების „სამშენებლო კლიმატოლოგია“ (პნ 01.05-08) მიხედვით, კერძოდ: ხაშურის მეტეოსადგურის მონაცემების მიხედვით, ნალექების მაქსიმალური რაოდენობა მიღებულია 1366 მმ/წელ. ნალექების დღე-ღამური მაქსიმუმი შეადგენს 105 მმ.
- K - კოეფიციენტი, რომელიც დამოკიდებულია საფარის ტიპზე და მოცემულ შემთხვევაში შეადგენს 0,23;

გამომდინარე აღნიშნულიდან, წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების რაოდენობა იქნება:

- $Q_{\text{წელ}} = 10 \times 0.2746 \times 1366 \times 0.23 = 862.74 \text{ მ}^3/\text{წელ}$
- $Q_{\text{დღ}} = 10 \times 0.2746 \times 105 \times 0.23 = 66.31 \text{ მ}^3/\text{დღ}$

ტერიტორიაზე 1 საათის განმავლობაში მოსული ატმოსფერული წყლების რაოდენობა დაახლოებით იქნება 22 მ³/სთ.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი საწარმოო-სანიაღვრე ჩამდინარე წყლების რაოდენობა იქნება **58 მ³/სთ და 72 862.3 მ³/წელ.**

ჩამდინარე წყლები დაბინძურებული იქნება შეწონილი ნაწილაკებით, რომლის გაწმენდისათვის გათვალისწინებულია სამ სექციიანი სალექარის მოწყობა, სალექარის მოცულობა შეადგენს 1200 მ³-ს. აღნიშნულ სალექარში ასევე თვითდენით მიწის არხების საშუალებით ჩაედინება საწარმოო ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლები.

საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი საწარმოო-სანიაღვრე წყლების რაოდენობის და სალექარის მოცულობიდან გამომდინარე, გაწმენდილ წყალში შეწონილი ნაწილაკების შემცველობა არ იქნება 60 მგ/ლ-ზე მაღალი. გაწმენდილი წყალი ჩაშვებული იქნება მდ. ჩხერიმელაში წყალჩაშვების წერტილის კოორდინატებია: X-355025; Y-4650271.

3 ინფორმაცია საკმიანობის განსახორციელებელი ადგილის შესახებ - გარემოს ფონური მდგომარეობა და ზემოქმედების რისკები

ინერტული მასალის სამსხვრევ-დამახარისხებელი ქარხნის და ბეტონის კვანძის მოწყობის პროცესში შესრულებული იქნება მცირე მოცულობის სამუშაოები, ვინაიდან აღნიშნული საამქრო წარმოადგენს გადასატანი ტიპის დანადგარს, ასევე ბეტონის კვანძი წარმოადგენს ასაწყობ სტაციონარულ ნაგებობას, რომელიც მამუტაბურ სამშენებლო სამუშაოებს არ საჭიროებს და

ამასთანავე დანადგარები განთავსებულია მაღალი ანთროპოგენური დატვირთვის მქონე ტერიტორიაზე.

გამომდინარე აღნიშნულიდან, დანადგარების მოწყობის პროცესში გარემოს ზოგიერთ რეცეპტორზე ზემოქმედებას ადგილი არ ექნება, ხოლო სხვა რეცეპტორებზე ზემოქმედება შეიძლება შეფასდეს როგორც მინიმალური. საქმიანობის სპეციფიკურობიდან გამომდინარე ექსპლუატაციის ფაზაზე გარემოზე ზემოქმედების თვალსაზრისით წინამდებარე დოკუმენტში განხილულია შემდეგი სახის ზემოქმედებები/რისკები:

- ზემოქმედება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე;
- ზემოქმედება აკუსტიკურ ფონზე;
- ზემოქმედება წყლის გარემოზე;
- ზემოქმედება გრუნტის ხარისხზე;
- ნარჩენების წარმოქმნით მოსალოდნელი ზემოქმედება;
- ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადზე;
- ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე;
- კუმულაციური ზემოქმედება.

დაგეგმილი საქმიანობის ხასიათის და მდებარეობის გათვალისწინებით წინამდებარე სკრინინგის ანგარიშში არ არის განხილული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე ზემოქმედების შეფასება. განხილვიდან ამოღებული ზემოქმედებები და საფუძვლები იხილეთ ცხრილში 3.1.

ცხრილი 3.1. განხილვიდან ამოღებული ზემოქმედების სახეები

ზემოქმედების სახე	განხილვიდან ამოღების საფუძველი
მიწის საკუთრება და გამოყენება	საპროექტო ტერიტორიას წარმოადგენს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს, რომელიც სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაა, ხოლო შპს „როხი კომპანი“ აღნიშნული მიწის ნაკვეთით სარგებლობს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, შესაბამისად მიწის საკუთრებასა და გამოყენების პირობებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.
დაცული ტერიტორიები	უახლოესი დაცული ტერიტორიები საწარმოს განთავსების ტერიტორიიდან დაცილებულია არანაკლებ 2-3 კმ მანძილით, შესაბამისად საქმიანობის განხორციელებით დაცული ტერიტორიის ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების რისკი მინიმალურია.

ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე	საწარმოს განთავსების ტერიტორია მდებარეობს მდ. ჩხერიმელას მარცხენა სანაპიროს პირველ ტერასაზე. ტერიტორია უმეტესად სწორი ზედაპირისაა და საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარების რაიმე ნიშნები არ ფიქსირდება. საპროექტო ტერიტორია მდ. ჩხერიმელას სანაპიროდან დაცილებულია დაახლოებით 65 მ-ით, ხოლო მდინარის კალაპოტის და საწარმოს ტერიტორიის ნიშნულებს შორის სხვაობა 3-3.5 მ-ის ფარგლებშია. შესაბამისად, ტერიტორიის მდინარის წყლით დატბორვის რისკი მინიმალურია. ვინაიდან, საამქროს მოწყობა დაგეგმილია უკვე ათვისებულ ტერიტორიაზე, ამასთანავე დანადგარების მოწყობის მოსაწყობად საჭირო არ არის დიდი მოცულობის მიწის სამუშაოების შესრულება (მიწის სამუშაოები შესრულდება მხოლოდ დანადგარების საყრდენების საძირკვლების მოსაწყობად). აღნიშნულის გათვალისწინებით, გეოლოგიურ გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების რისკი შეიძლება შეფასდეს როგორც მინიმალური. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ტერიტორია გეოლოგიური თვალსაზრისით სტაბილურია და საშიში გეოდინამიკური პროცესების გააქტიურების რისკი მოწყობის და ექსპლუატაციის ფაზებზე მოსალოდნელი არ არის.
ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე	იქიდან გამომდინარე, რომ საწარმოსა და მიმდებარე ტერიტორიებზე წლების მანძილზე მიმდინარეობდა სამრეწველო საქმიანობები, ჩამოყალიბებულია ტიპური ანთროპოგენული ლანდშაფტი, ტერიტორიის ზედაპირი დაფარულია ხრემის ფენით და ნიადაგის ნაყოფიერი ფენა წარმოდგენილი არ არის, შესაბამისად ამ მხრივ დაგეგმილი საქმიანობა ზემოქმედების მატარებელი არ არის.
ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება	დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის და განხორციელების ადგილის მდებარეობის გათვალისწინებით ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების რისკი არ არის მოსალოდნელი.
ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ზემოქმედება	საპროექტო ტერიტორიაზე და მის მიმდებარე არეალში ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობის ძეგლები არ არის. საწარმო განთავსებულია ტექნოგენური და ანთროპოგენული ზემოქმედების მქონე ტერიტორიაზე, სადაც წლების განმავლობაში მიმდინარეობდა საწარმოო საქმიანობა. სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქრო წარმადგენს გადასატანი ტიპის დანადგარს, რომლის მონტაჟი და ექსპლუატაცია დიდი მოცულობის მიწის სამუშაოებთან დაკავშირებული არ არის. შესაბამისად, არქეოლოგიურ ძეგლების გვიანი აღმოჩენის რისკი ძალზე დაბალია.
შესაძლო ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილება	იქიდან გამომდინარე, რომ საპროექტო ტერიტორიაზე გასული წლების განმავლობაში მიმდინარეობდა დაგეგმილი პროექტის მსგავსი საქმიანობა (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება, სამშენებლო მასალების წარმოება), აღნიშნული საქმიანობის განხორციელებით ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილებაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

3.1. ზემოქმედება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე

როგორც ზემოთ აღინიშნა, ინერტული მასალების სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმო წარმოადგენს გადასატანი ტიპის დანადგარს, ხოლო ბეტონის კვანძი ასაწყობ სტაციონარულ ნაგებობას, მათი მოწყობა მასშტაბურ სამშენებლო სამუშაოებს არ საჭიროებს და შესაბამისად დანადგარების დამონტაჟების პროცესში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედება არ

იქნება მნიშვნელოვანი. ამასთანავე ზემოქმედება იქნება მოკლევადიანი, სამუშაოები გაგრძელდება მაქსიმუმ 1.0-1.5 თვე.

ექსპლუატაციის პერიოდში, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედება მოსალოდნელია სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმოს და ბეტონის კვანძის მუშაობისას მტვრის გავრცელებასთან დაკავშირებით.

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ქვიშა-ხრემის დამუშავება გათვალისწინებულია სველი მეთოდით, ხოლო ბეტონის კვანძის სილოსი აღჭურვილია მტვერდამჭერი სისტემით, რაც მინიმუმამდე ამცირებს ატმოსფეროში მტვრის ემისიებს.

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევა მოსალოდნელია შემდეგი ოპერაციების დროს:

- ინერტული მასალების საწყობში - ფხვიერი მასალის გადატვირთვისა და შენახვის პროცესში;
- სამსხვრევი კომპლექსიდან - ხრემის ბუნკერში ჩაყრისას, ყბებიანი სამსხვრევიდან და საცერიდან, ასევე ლენტური კონვეიერებიდან;
- ლენტური კონვეიერით ღორღის დაყრისას სამსხვრევიდან;
- ღორღის საწყობიდან - დაყრის და შენახვის პროცესში;
- ცემენტის ჩატვირთვისას ბეტონის კვანძის სილოსიდან;
- ბეტონის კვანძის მიმღებ ბუნკერიდან;
- ბეტონის კვანძის ტრანსპორტიორიდან.

ცხრილში 3.1.1. მოცემულია საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ატმოსფერულ ჰაერში მოსალოდნელი მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები მაქსიმალური კონცენტრაციები ზღვ-წილებში უახლოეს დასახლებული პუნქტის საზღვართან მიმართებაში.

ცხრილი 3.1.1.

მავნე ნივთიერებათა		ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია, მგ/მ³		მავნეობის საშიშროების კლასი
კოდი	დასახელება	მაქსიმალური ერთჯერადი	საშუალო სადღეღამისო	
1	2	3	4	5
2902	შეწონილი ნაწილაკები	0,5	0,15	3
2908	არაორგანული მტვერი: 70-20% SiO ₂	0,3	0,1	3

3.1.1. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის № 42 დადგენილების „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების ინვენტარიზაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ თანახმად ემისიის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაანგარიშება შესაძლებელია განხორციელდეს ორი გზით:

1. უშუალოდ ინსტრუმენტული გაზომვებით;
2. საანგარიშო მეთოდის გამოყენებით.

წინამდებარე დოკუმენტში გაანგარიშება შესრულებულია საანგარიშო მეთოდის გამოყენებით.

3.1.2. ემისიის გაანგარიშება ინერტული მასალის საწყობი (გ-1)

დაყრა

გაანგარიშება შესრულებულია შემდეგი მეთოდური მითითებების თანახმად [9,10,11]. ფხვიერი მასალების გადატვირთვა ხორციელდება ჩამტვირთავი სახელოს გარეშე. ადგილობრივი

პირობები-საწყობი ღია ოთხივე მხრიდან. ($K_4 = 1$). მასალის გადმოყრის სიმაღლე-1 მ. ($B = 0,5$) ზალპური ჩამოცლა ავტოთვითმცლელიდან ხორციელდება 10 ტ. და მეტი ოდენობით. ($K_9 = 0,1$). ქარის საანგარიშო სიჩქარეები, მ/წმ: 7,4 ($K_3 = 1,7$); ქარის საშუალო წლიური სიჩქარე, 0,5 მ/წმ: ($K_3 = 1$). დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები მოცემულია ცხრილში 3.1.2.1.

ცხრილი 3.1.2.1. დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები მეთოდის მიხედვით

დამაბინძურებელი ნივთიერება		მაქსიმალური ემისია, გ/წმ	წლიური ემისია, ტ/წელ
კოდი	დასახელება		
2902	შეწონილი ნაწილაკები	0.0453333	0.192

საწყისი მონაცემები დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის გაანგარიშებისათვის მოცემულია ცხრილში 3.1.2.2.

ცხრილი 3.1.2.2. გაანგარიშების საწყისი მონაცემები

მასალა	პარამეტრი
ინერტული მასალა	გადატვირთული მასალის რ-ბა: $G_4 = 48$ ტ/სთ; $G_{წლ} = 96000$ ტ/წელ. მტვრის ფრაქციის მასური წილი მასალაში: $K_1 = 0,04$. მტვრის წილი, რომელიც გადადის აეროზოლში: $K_2 = 0,02$. ტენიანობა 10%-მდე ($K_5 = 0,1$). მასალის ზომები 50-10 მმ ($K_7 = 0,5$).

მიღებული პირობითი აღნიშვნები, საანგარიშო ფორმულები, აგრეთვე საანგარიშო პარამეტრები და მათი დასახულება მოცემულია ქვემოთ:

მტვრის მაქსიმალური ერთჯერადი ემისიის გაანგარიშება ხორციელდება ფორმულით:

$$M_{TP} = K_1 \cdot K_2 \cdot K_3 \cdot K_4 \cdot K_5 \cdot K_7 \cdot K_8 \cdot K_9 \cdot B \cdot G_4 \cdot 10^6 / 3600, \text{ გ/წმ}$$

სადაც,

K_1 - მტვრის ფრაქციის (0-200მკმ) წონითი წილი მასალაში;

K_2 - მტვრის წილი (მტვრის მთლიანი წონითი წილიდან), რომელიც გადადის აეროზოლში (0-10მკმ);

K_3 - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივ მეტეო პირობებს;

K_4 - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივ პირობებს, კვანძის დაცულობის ხარისხს გარეშე ზემოქმედებისაგან, ამტკერების პირობებს;

K_5 - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის ტენიანობას;

K_7 - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის ზომებს;

K_8 - შემასწორებელი კოეფიციენტი სხვადასხვა მასალისათვის გრეიფერის ტიპის გათვალისწინებით, სხვა ტიპის გადამტვირთავი მოწყობილობების გამოყენებისას $K_8 = 1$;

K_9 - შემასწორებელი კოეფიციენტი ზალპური ჩამოცლისას ავტოთვითმცლელიდან.

B - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს გადმოყრის სიმაღლეს;

G_4 - გადასატვირთი მასალის რ-ბა სთ-ში, (ტ/სთ).

მტვრის ჯამური წლიური ემისიის გაანგარიშება ხორციელდება ფორმულით:

$$\Pi_{TP} = K_1 \cdot K_2 \cdot K_3 \cdot K_4 \cdot K_5 \cdot K_7 \cdot K_8 \cdot K_9 \cdot B \cdot G_{\text{წლ}}, \text{ ტ/წელ}$$

სადაც,

$G_{\text{წლ}}$ - გადასატვირთი მასალის წლიური რ-ბა, ტ/წელ;

ატმოსფერულ ჰაერში დამაბინძურებელ ნივთიერებათა მაქსიმალური ერთჯერადი და წლიური გამოყოფის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ.

$$M_{2902}^{7,4/წმ} = 0,04 \cdot 0,02 \cdot 1,7 \cdot 1 \cdot 0,1 \cdot 0,5 \cdot 1 \cdot 0,1 \cdot 0,5 \cdot 48 \cdot 10^6 / 3600 = 0,0453333 \text{ გ/წმ};$$

$$\Pi_{2902} = 0,04 \cdot 0,02 \cdot 1 \cdot 1 \cdot 0,1 \cdot 0,5 \cdot 1 \cdot 0,1 \cdot 0,5 \cdot 96000 = 0,192 \text{ ტ/წელ}.$$

შენახვა

გაანგარიშება შესრულებულია შემდეგი მეთოდური მითითებების თანახმად [9,10,11]. დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები მოცემულია ცხრილში 3.1.2.3

ცხრილი 3.1.2.3. დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები

დამაბინძურებელი ნივთიერება		მაქსიმალური ემისია, გ/წმ	წლიური ემისია, ტ/წელ
კოდი	დასახელება		
2902	შეწონილი ნაწილაკები	0.0255441	0.0001317

საწყისი მონაცემები დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის გაანგარიშებისათვის მოცემულია ცხრილში 4.1.4.

მტვრის მაქსიმალური ერთჯერადი ემისიის გაანგარიშება ფხვიერი მასალის შენახვისას ხორციელდება ფორმულით:

$$M_{XP} = K_4 \cdot K_5 \cdot K_6 \cdot K_7 \cdot q \cdot F_{pa6} + K_4 \cdot K_5 \cdot K_6 \cdot K_7 \cdot 0,11 \cdot q \cdot (F_{\text{пл}} - F_{pa6}) \cdot (1 - \eta), \text{ გ/წმ}$$

სადაც,

K_4 - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივ პირობებს, კვანძის დაცულობის ხარისხს გარეშე ზემოქმედებისაგან, ამტვერების პირობებს;

K_5 - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის ტენიანობას;

K_6 - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის პროფილს;

K_7 - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის ზომებს;

F_{pa6} - ფართი გეგმაზე, რომელზედაც სისტემატიურად მიმდინარეობს დასაწყობების სამუშაოები, მ²

$F_{\text{пл}}$ - ამტვერების ზედაპირის ფართი გეგმაზე, მ²;

q - მტვრის კუთრი ამტვერების მაქსიმალური სიდიდე, გ/(მ²*წმ);

η - გაფრქვევის შემცირების ხარისხი მტვერდამხშობი სისტემის გამოყენებისას.

კოეფიციენტი K_6 -ის მნიშვნელობა განისაზღვრება ფორმულით:

$$K_6 = F_{\text{макс}} / F_{\text{пл}}$$

სადაც,

$F_{\text{макс}}$ - საწყობის მაქსიმალურად შევსებისას დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის ფაქტიური ფართი საწყობის მაქსიმალურად შევსებისას, მ²;

მტვრის კუთრი ამტვერების მაქსიმალური სიდიდე განისაზღვრება ფორმულით: გ/(მ²*წმ);

$$q = 10^{-3} \cdot a \cdot U^b, \text{ გ/(მ}^2\text{*წმ);}$$

სადაც,

a და b – ემპირიული კოეფიციენტებია, რომლებიც დამოკიდებულია გადასატვირთი მასალის ტიპზე; U - ქარის სიჩქარე, მ/წმ.

მტვრის ჯამური წლიური ემისიის გაანგარიშება ფხვიერი მასალის შენახვისას ხორციელდება ფორმულით:

$$M_{XP} = 0,11 \cdot 8,64 \cdot 10^{-2} \cdot K_4 \cdot K_5 \cdot K_6 \cdot K_7 \cdot q \cdot F_{\text{пл}} \cdot (1 - \eta) \cdot (T - T_A - T_c) \text{ ტ/წელ;}$$

სადაც,

T – მასალის შენახვის საერთო დრო განსახილველ პერიოდში (დღე);

T_A - წვიმიან დღეთა რიცხვი;

T_c - მდგრადი თოვლის საფარიან დღეთა რიცხვი;

ცხრილი 3.1.2.4 საანგარიშო პარამეტრები და მათი მნიშვნელობები

საანგარიშო პარამეტრები	მნიშვნელობები
გადასატვირთი მასალა: ინერტული მასალა ემპირიული კოეფიციენტები, რომლებიც დამოკიდებულია გადასატვირთი მასალის ტიპზე;	$a = 0,0135$ $b = 2,987$
ადგილობრივი პირობები-საწყობი ღია ოთხივე მხრიდან	$K_4 = 1$
მასალის ტენიანობა 10%-მდე	$K_5 = 0,1$

საანგარიშო პარამეტრები	მნიშვნელობები
დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის პროფილი	$K_6 = 750 / 500 = 1,5$
მასალის ზომები 50-10 მმ	$K_7 = 0,5$
ქარის საანგარიშო სიჩქარეები, მ/წმ	$U' = 7,4$
ქარის საშუალო წლიური სიჩქარე, მ/წმ	$U = 0,5$
გადატვირთვის სამუშაოების ზედაპირის მუშა ფართი, მ ²	$F_{\text{раб}} = 10$
ამტვერების ზედაპირის ფართი გეგმაზე, მ ²	$F_{\text{пл}} = 500$
ამტვერების ზედაპირის ფაქტიური ფართი გეგმაზე, მ ²	$F_{\text{макс}} = 750$
მასალის შენახვის საერთო დრო განსახილველ პერიოდში, დღ.	$T = 366$
წვიმიან დღეთა რიცხვი	$T_{\text{д}} = 120$
მდგრადი თოვლის საფარიან დღეთა რიცხვი	$T_{\text{с}} = 29$

ატმოსფერულ ჰაერში დამაბინძურებელ ნივთიერებათა მაქსიმალური ერთჯერადი და წლიური გამოყოფის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ.

$$q_{2902}^{7,4 \text{ მ/წმ}} = 10^{-3} \cdot 0,0135 \cdot 7,4^{2,987} = 0,00533 \text{ გ/(მ}^2\text{·წმ)};$$

$$M_{2902}^{7,4 \text{ მ/წმ}} = 1 \cdot 0,1 \cdot 1,5 \cdot 0,5 \cdot 0,00533 \cdot 10 + 1 \cdot 0,1 \cdot 1,5 \cdot 0,5 \cdot 0,11 \cdot 0,00533 \cdot (500 - 10) = 0,0255441 \text{ გ/წმ};$$

$$q_{2902} = 10^{-3} \cdot 0,0135 \cdot 0,5^{2,987} = 0,0000017 \text{ გ/(მ}^2\text{·წმ)};$$

$$\Pi_{2902} = 0,11 \cdot 8,64 \cdot 10^{-2} \cdot 1 \cdot 0,1 \cdot 1,5 \cdot 0,5 \cdot 0,0000017 \cdot 500 \cdot (366 - 120 - 29) = 0,0001317 \text{ ტ/წელ}.$$

დამაბინძურებელი ნივთიერება		პროცესი	მაქსიმალური ემისია, გ/წმ	წლიური ემისია, ტ/წელ
კოდი	დასახელება			
2902	შეწონილი ნაწილაკები	დაყრა	0.0453333	0.192
		შენახვა	0.0255441	0.0001317
Σ			0.07088	0.19213

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის, დადგენილება N435-ის, დანართი 117-ის მიხედვით. გაანგარიშებისას რეკომენდირებულია გამოყენებულ იქნას ამ გაფრქვევების მნიშვნელობების შემასწორებელი მტერის დალექვის მახასიათებელი კოეფიციენტები 0,4.

გაფრქვევა წყაროდან

დამაბინძურებელი ნივთიერება		მაქსიმალური ემისია, გ/წმ	წლიური ემისია, ტ/წელ
კოდი	დასახელება		
2902	შეწონილი ნაწილაკები	0.02835	0.07685

3.1.3. ემისიის გაანგარიშება სამსხვრევი კომპლექსიდან (გ-2)

ემისიის გაანგარიშება ხრემის ბუნკერში ჩაყრისას:

გაანგარიშება შესრულებულია შემდეგი მეთოდური მითითებების თანახმად [9,10,11]. ფხვიერი მასალების გადატვირთვა ხორციელდება ჩამტვირთავი სახელოს გარეშე. ადგილობრივი პირობები-საწყობი ღიაა ოთხივე მხრიდან. ($K_4 = 1$). მასალის გადმოყრის სიმაღლე-1,0 მ. ($B = 0,5$) ზალპური ჩამოცლა ხორციელდება 10 ტ-ზე ნაკლები ოდენობით. ($K_9 = 0,2$). ქარის საანგარიშო სიჩქარეები, მ/წმ: 7,4 ($K_3 = 1,7$); ქარის საშუალო წლიური სიჩქარე, 0,5 მ/წმ: ($K_3 = 1$). დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები მოცემულია ცხრილში 3.1.3.1.

ცხრილი 3.1.3.1. დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები მეთოდიკის მიხედვით

დამაბინძურებელი ნივთიერება		მაქსიმალური ემისია, გ/წმ	წლიური ემისია, ტ/წელ
კოდი	დასახელება		
2902	შეწონილი ნაწილაკები	0.0906667	0.384

საწყისი მონაცემები დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის გაანგარიშებისათვის მოცემულია ცხრილში 3.1.3.2.

ცხრილი 3.1.3.2. გაანგარიშების საწყისი მონაცემები

მასალა	პარამეტრი
ინერტული მასალა	გადატვირთული მასალის რ-ბა: $G_{\text{რ}} = 48$ ტ/სთ; $G_{\text{წლ}} = 96000$ ტ/წელ. მტვრის ფრაქციის მასური წილი მასალაში: $K_1 = 0,04$. მტვრის წილი, რომელიც გადადის აეროზოლში: $K_2 = 0,02$. ტენიანობა 10%-მდე ($K_5 = 0,1$). მასალის ზომები 50-10 მმ ($K_7 = 0,5$).

მიღებული პირობითი აღნიშვნები, საანგარიშო ფორმულები, აგრეთვე საანგარიშო პარამეტრები და მათი დასაბუთება მოცემულია ქვემოთ:

მტვრის მაქსიმალური ერთჯერადი ემისიის გაანგარიშება ხორციელდება ფორმულით:

$$M_{\text{ГР}} = K_1 \cdot K_2 \cdot K_3 \cdot K_4 \cdot K_5 \cdot K_7 \cdot K_8 \cdot K_9 \cdot B \cdot G_{\text{р}} \cdot 10^6 / 3600, \text{ გ/წმ}$$

სადაც,

K_1 - მტვრის ფრაქციის (0-200 მკმ) წონითი წილი მასალაში;

K_2 - მტვრის წილი (მტვრის მთლიანი წონითი წილიდან), რომელიც გადადის აეროზოლში (0-10 მკმ);

K_3 - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივ მეტეო პირობებს;

K_4 - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივ პირობებს, კვანძის დაცულობის ხარისხს გარეშე ზემოქმედებისაგან, ამტვერების პირობებს;

K_5 - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის ტენიანობას;

K_7 - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის ზომებს;

K_8 - შემასწორებელი კოეფიციენტი სხვადასხვა მასალისათვის გრეიფერის ტიპის გათვალისწინებით, სხვა ტიპის გადამტვირთავი მოწყობილობების გამოყენებისას $K_8 = 1$;

K_9 - შემასწორებელი კოეფიციენტი ზალპური ჩამოცლისას ავტოთვითმცლელიდან.

B - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს გადმოყრის სიმაღლეს;

$G_{\text{р}}$ - გადასატვირთი მასალის რ-ბა სთ-ში, (ტ/სთ).

მტვრის ჯამური წლიური ემისიის გაანგარიშება ხორციელდება ფორმულით:

$$П_{\text{ГР}} = K_1 \cdot K_2 \cdot K_3 \cdot K_4 \cdot K_5 \cdot K_7 \cdot K_8 \cdot K_9 \cdot B \cdot G_{\text{год}}, \text{ ტ/წელ}$$

სადაც,

$G_{\text{год}}$ - გადასატვირთი მასალის წლიური რ-ბა, ტ/წელ;

ატმოსფერულ ჰაერში დამაბინძურებელ ნივთიერებათა მაქსიმალური ერთჯერადი და წლიური გამოყოფის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ.

$$M_{2902}^{7,4\text{წმ}} = 0,04 \cdot 0,02 \cdot 1,7 \cdot 1 \cdot 0,1 \cdot 0,5 \cdot 1 \cdot 0,2 \cdot 0,5 \cdot 48 \cdot 10^6 / 3600 = 0,0906667 \text{ გ/წმ};$$

$$П_{2902} = 0,04 \cdot 0,02 \cdot 1 \cdot 1 \cdot 0,1 \cdot 0,5 \cdot 1 \cdot 0,2 \cdot 0,5 \cdot 96000 = 0,384 \text{ ტ/წელ}.$$

ემისიის გაანგარიშება ყბებიანი სამსხვრევიდან და საცერიდან

გაანგარიშება შესრულებულია შემდეგი მეთოდური მითითებების თანახმად [12]. დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები მოცემულია ცხრილში 3.1.3.3.

ცხრილი 3.1.3.3.. დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები

დამაბინძურებელი ნივთიერება		მაქსიმალური ემისია, გ/წმ	წლიური ემისია, ტ/წელ
კოდი	დასახელება		
2902	შეწონილი ნაწილაკები	115.27778	830.0

საწყისი მონაცემები დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის გაანგარიშებისათვის მოცემულია ცხრილში 3.1.3.4.

ცხრილი 3.1.3.4. გაანგარიშების საწყისი მონაცემები

ტექნოლოგიური დანადგარის ტიპი	მუშაობის დრო, სთ/წელ	ერთდროულობა
ყბებიანი სამსხვრევი აირჰაეროვანი ნარევის მოცულობითი სიჩქარე $V=14000\text{მ}^3/\text{სთ}$; მტვრის კონცენტრაცია- $C = 12\text{გ}/\text{მ}^3$	2000	+
როტორული სამსხვრევი აირჰაეროვანი ნარევის მოცულობითი სიჩქარე $V= 14000\text{მ}^3/\text{სთ}$; მტვრის კონცენტრაცია- $C = 12\text{გ}/\text{მ}^3$	2000	+
საცერი -აირჰაეროვანი ნარევის მოცულობითი სიჩქარე $V= 3500\text{მ}^3/\text{სთ}$; მტვრის კონცენტრაცია- $C = 11\text{გ}/\text{მ}^3$	2000	+
საცერი -აირჰაეროვანი ნარევის მოცულობითი სიჩქარე $V= 3500\text{მ}^3/\text{სთ}$; მტვრის კონცენტრაცია- $C = 11\text{გ}/\text{მ}^3$	2000	+

მტვრის ჯამური გამოყოფა ტექნოლოგიური დანადგარიდან გაიანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{т}} = 3600 \cdot 10^{-6} \cdot t \cdot V \cdot C, \text{ ტ/წელ};$$

სადაც t - ტექნოლოგიური დანადგარის მუშაობის დრო წელიწადში, სთ.

V - აირჰაეროვანი ნაკადის მოცულობა გამწმენდის შესასვლელზე $\text{მ}^3/\text{წმ}$;

C - მტვრის კონცენტრაცია გამწმენდის შესასვლელზე, $\text{გ}/\text{მ}^3$

მტვრის მაქსიმალური ერთჯერადი გამოყოფა გაიანგარიშება ფორმულით:

$$G = V \cdot C, \text{ გ/წმ};$$

დამაბინძურებელ ნივთიერებათა (გამოყოფის) ემისიის მაქსიმალური ერთჯერადი და წლიური გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ:

ყბებიანი სამსხვრევი აირჰაეროვანი ნარევის მოცულობითი სიჩქარე $V= 14000 \text{ მ}^3/\text{სთ}$; მტვრის კონცენტრაცია- $C = 12\text{გ}/\text{მ}^3$

$$V = 14000 / 3600 = 3,88889, \text{ მ}^3/\text{წმ};$$

$$M_{2902} = 3600 \cdot 10^{-6} \cdot 2000 \cdot 3,88889 \cdot 12 = 336 \text{ ტ/წელ};$$

$$G_{2902} = 3,88889 \cdot 12 = 46,667 \text{ გ/წმ};$$

ყბებიანი სამსხვრევი აირჰაეროვანი ნარევის მოცულობითი სიჩქარე $V= 14000 \text{ მ}^3/\text{სთ}$; მტვრის კონცენტრაცია- $C = 20 \text{ გ}/\text{მ}^3$

$$V = 8500 / 3600 = 2,36111 \text{ მ}^3/\text{წმ};$$

$$M_{2902} = 3600 \cdot 10^{-6} \cdot 2000 \cdot 2,36111 \cdot 20 = 340 \text{ ტ/წელ};$$

$$G_{2902} = 2,36111 \cdot 20 = 47,222 \text{ გ/წმ};$$

საცერი აირჰაეროვანი ნარევის მოცულობითი სიჩქარე $V= 3500\text{მ}^3/\text{სთ}$; მტვრის კონცენტრაცია- $C = 11\text{გ}/\text{მ}^3$

$$V = 3500 / 3600 = 0,972222, \text{ მ}^3/\text{წმ};$$

$$M_{2902} = 3600 \cdot 10^{-6} \cdot 2000 \cdot 0,972222 \cdot 11 = 77 \text{ ტ/წელ};$$

$$G_{2902} = 0,972222 \cdot 11 = 10,694 \text{ გ/წმ};$$

საცერი აირჰაეროვანი ნარევის მოცულობითი სიჩქარე $V= 3500\text{მ}^3/\text{სთ}$; მტვრის კონცენტრაცია- $C = 11\text{გ}/\text{მ}^3$

$$V = 3500 / 3600 = 0,972222, \text{ მ}^3/\text{წმ};$$

$$M_{2902} = 3600 \cdot 10^{-6} \cdot 2000 \cdot 0,972222 \cdot 11 = 77 \text{ ტ/წელ};$$

$$G_{2902} = 0,972222 \cdot 11 = 10,694 \text{ გ/წმ};$$

მეთოდური მითითებების თანახმად [13], ისეთი შემთხვევების დროს რომელიც მიმდინარეობს არაორგანიზებული წყაროებიდან და განთავსებულია ღია ცის ქვეშ, გამოიყენება მეთოდიკა რომელიც დასაბუთებულია კუთრი გამოყოფის მაჩვენებლებზე. ესეთი წყაროებიდან გაფრქვევის საანგარიშოდ (გაცრა, დაფქვა, გადატვირთვა, შენახვა და ა.შ.) მიზანშეწონილია შედეგები დაკორექტირდეს (K_2 - K_7)-ის კოეფიციენტების მეშვეობით.

$$M_{TP} = K_1 \cdot K_2 \cdot K_3 \cdot K_4 \cdot K_5 \cdot K_7 \cdot K_8 \cdot K_9 \cdot B \cdot G_{\text{ყ}} \cdot 10^6 / 3600, \text{ გ/წმ}$$

სადაც

K_2 - მტვრის წილი (მტვრის მთლიანი წონითი წილიდან), რომელიც გადადის აეროზოლში (0-10მკმ);

K_3 - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივ მეტეო პირობებს;

K_4 - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივ პირობებს, კვანძის დაცულობის ხარისხს გარეშე ზემოქმედებისაგან, ამტვერების პირობებს;

K_5 - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის ტენიანობას;

K_7 - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის ზომებს;

ზემოთაღნიშნული კოეფიციენტების მნიშვნელობები საწარმოს კონკრეტული პირობებისათვის მოყვანილია ცხრილში

№	პარამეტრები	კოეფ.	მნიშვნ.
1	მტვრის წილი რომელიც გადადის აეროზოლში	K_2	0,02
2	ქარის სიჩქარის დამოკიდებულება კოეფიციენტის სიდიდეზე	K_3	1,7
3	ადგილობრივი პირობების დამოკიდებულება კოეფიციენტის სიდიდეზე	K_4	1,0
4	ნედლეულის ტენიანობის დამოკიდებულება კოეფიციენტის სიდიდეზე	K_5	0,1
5	ნედლეულის ზომის დამოკიდებულება კოეფიციენტის სიდიდეზე	K_7	0,5

გამომდინარე შემასწორებელი კოეფიციენტების გამოყენებით, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა იქნება:

$$G_{2902} = 115.27778 \times 0.02 \times 1.7 \times 1 \times 0.1 \times 0.5 = 0.1960 \text{ გ/წმ.}$$

$$M_{2902} = 830.0 \times 0.02 \times 1.7 \times 1 \times 0.1 \times 0.5 = 1.4110 \text{ ტ/წელ.}$$

ემისიის გაანგარიშება ლენტური კონვეიერებიდან

ლენტური კონვეიერების (4 ერთეული) ჯამური სიგრძე შეადგენს 45 მ. სიგანედ აღებულია მაქსიმუმი 0,8 მ და ღორღის ფრაქცია მინიმალური 10-5 მმ.

გაანგარიშება შესრულებულია შემდეგი მეთოდური მითითებების თანახმად [9,10,11]. ტრანსპორტირება ხორციელდება ღია კონვეიერული ლენტების საშუალებით, სიგანით-0,8მ. საერთო სიგრძე შეადგენს 45 მეტრს. ქარის საანგარიშო სიჩქარეები შეადგენს, მ/წმ: 7.4 ($K_3 = 1.7$); საშუალო წლიური ქარის სიჩქარე 0,5 მ/წმ ($K_3 = 1$). დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები მოცემულია ცხრილში 3.2.2.5.

ცხრილი 3.1.3.5. დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები მეთოდიკის მიხედვით

დამაბინძურებელი ნივთიერება		მაქსიმალური ემისია, გ/წმ	წლიური ემისია, ტ/წელ
კოდი	დასახელება		
2902	შეწონილი ნაწილაკები	0.0016578	0.0070215

საწყისი მონაცემები დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის გაანგარიშებისათვის მოცემულია ცხრილში 3.1.3.6.

ცხრილი 3.1.3.6.

მასალა	პარამეტრები	ერთდროულობა
ღორღი	მუშაობის დრო-2000 სთ/წელ; ტენიანობა 10-20%-მდე. ($K_5 = 0,01$). ნაწილაკების ზომა 10-5 მმ. ($K_7 = 0,6$). კუთრი ამტვერება- 0,0000045 კგ/(მ²*წმ.)	+

მიღებული პირობითი აღნიშვნები, საანგარიშო ფორმულები, აგრეთვე საანგარიშო პარამეტრები და მათი დასაბუთება მოცემულია ქვემოთ.

შეწონილი ნაწილაკების ჯამური მასის ემისია, რომელიც წარმოიქმნება მასალის ტრანსპორტირებისას ღია ლენტური კონვეირიდან, განისაზღვრება ფორმულით:

$$M_K = 3,6 \cdot K_3 \cdot K_5 \cdot W_K \cdot L \cdot l \cdot \gamma \cdot T, \text{ ტ/წელ};$$

სადაც:

K_3 - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივ მეტეო პირობებს ;

K_5 - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის ტენიანობას;

W_K - ლენტური ტრანსპორტიორიდან კუთრი ამტვერება, კგ/მ²*წმ;

L - ლენტური ტრანსპორტიორის სიგანე, მ.

l - ლენტური ტრანსპორტიორის სიგრძე, მ.

γ - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს მასალის დაწვრილმარცვლოვანებას;

T - მუშაობის წლიური დრო, სთ/წელ;

მაქსიმალური ერთჯერადი ემისია რომელიც წარმოიქმნება მასალის ტრანსპორტირებისას ღია ლენტური კონვეირიდან, განისაზღვრება ფორმულით:

$$M'_K = K_3 \cdot K_5 \cdot W_K \cdot L \cdot l \cdot \gamma \cdot 10^3, \text{ გ/წმ};$$

ატმოსფერულ ჰაერში დამაბინძურებელ ნივთიერებათა მაქსიმალური ერთჯერადი და წლიური გამოყოფის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ.

$$M'_{2902} = 1,7 \cdot 0,01 \cdot 0,0000045 \cdot 45 \cdot 0,8 \cdot 0,6 \cdot 10^3 = 0,0016578 \text{ გ/წმ};$$

$$M_{2902} = 3,6 \cdot 1 \cdot 0,01 \cdot 0,0000045 \cdot 45 \cdot 0,8 \cdot 0,6 \cdot 2000 = 0,0070215 \text{ ტ/წელ}.$$

დამაბინძურებელი ნივთიერება		პროცესი	ემისია, გ/წმ	ემისია, ტ/წელ
კოდი	დასახელება			
2902	შეწონილი ნაწილაკები	მიმღები ბუნკერი	0.09067	0.38400
